ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N3

24.12.2021 წელი
15:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 24 დეკემბერს, 15:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **აკაკი ალადაშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** ამავე სამსახურის ახალგაზრდული მიმართულების ხელმძღვანელი **გოგი ჩიქოვანი** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. *(საფუძველი წერილი N12-032134435-03; 10.12.2021 წელი);*
   მომხსენებელი - ლევან მიქავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის **მიერ, 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და 2022 წელს დაგეგმილი პროექტების** შესახებ ინფორმაციის მოსმენა.
   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების** შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი, კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ 2022 წლის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებს მიმართულებების მიხედვით. ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 305 418,2 ათასი ლარით, რაც 2022 წლის პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტთან შედარებით გაზრდილია 105 501,2 ათასი ლარით. აღნიშნული გამოწვეულია საკუთარი შემოსულობების დაზუსტების, საქართველოს პარლამენტში „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის" მესამე წარდგენის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიმდინარე წლის 3 დეკემბერს მიღებული წერილის (N04-03/143397) გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება დამატებული ღირებულების გადასახადი 5 501,2 ათასი ლარით, სხვა შემოსავლები 30 000,0 ათასი ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყოფა 50 000,0 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები იზრდება 20 000,0 ათასი ლარით. ბიუჯეტის პრიორიტეტები კი წარმოდგენილია შემდეგი სახით: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 262,892.5 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - 259 782,6 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 167 317,1 ათასი ლარი, სადაც ჩადებულია ახალი პარკების მოწყობა და ხემცენარეების შესყიდვა გამწვანების გაზრდის მიზნით; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 845,0 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 41 115,2 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 176 777,0 ათასი ლარი; განათლება - 208 486,9 ათასი ლარი, აღნიშნულს ემატება ბაღების ვაუჩერის პროგრამა, რაც საკრებულოს რეკომენდაცია იყო; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 48 805,5 ათასი ლარი, აღნიშნულს ემატება მესამე მულტიფუნქციური ცენტრის საპროექტო სამუშაოები შესყიდვა; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 5 217,8 ათასი ლარი. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 133 178,9 ათასი ლარი.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მოხარულები ვართ, რომ კომისიის წინადადებები ბიუჯეტთან დაკავშირებით მაქსიმალურადაა გათვალისწინებული და მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა თორმეტ თვეზე იქნება გადანაწილებული. ჩვენი სურვილია ყველა რაიონში შეიქმნას მულტიფუნქციური სპორტული ცენტრი, ორი მათგანი 2022 წელს დასრულდება, ხოლო ერთი ცენტრის პროექტის შესყიდვა გათვალისწინებულია ბიუჯეტის პროექტში. მნიშვნელოვანია, რომ ყველა სოციალური, თუ სხვა მნიშვნელოვანი პროგრამა შენარჩუნებულია.

ირაკლი გვილავა - გამომდინარე იქედან, რომ სპორტი არის ისეთი დარგი სადაც აღდგენა, სპორტული ციკლის შემადგენელი ნაწილია და ის 45 დღე მწვრთნელები არიან სპორტულ შეკრებაზე და ფიზიკურად არ აქვთ წყვეტა, აღნიშნული გვაძლევს შესაძლებლობას 12 თვეზე გაიცეს დაფინანსება, რისთვისაც მადლობას ვუხდით თბილისის საკრებულოს, რომ ეს საკითხი აქტიურად დააყენა დღის წესრიგში და მოხერხდა მისი გადაწყვეტა.

ავთანდილ ცინცაძე - მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რომ მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა გადანაწილდა თორმეტ თვეზე. საკმაოდ დიდი შეღავათი და წახალისებაა, მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს ვინც ჩართული იყო აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში, ჩემი ფედერაციის და ყველა მწვრთნელის სახელით ვისთანაც მქონდა ამ საკითხზე კომუნიკაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, ავთანდილ ცინცაძე, გივი ჩხარტიშვილი, აკაკი ალადაშვილი - **(4), წინააღმდეგი** - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და 2022 წელს დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, სპორტული ღონისძიების ნაწილში დაგეგმილია ხელფასების 10%-ს ფარგლებში მატება, ასეთი მოცემულობაა ყველა ა(ა)იპ-ში, რაც დამატებითი წახალისების და მოტივაციის ფაქტორი იქნება. სპორტული ღონისძიებების ნაწილში, მასობრივი სპორტის მიმართულებით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს. საქალაქო სამსახურის მიერ შემუშავდა სპორტული ინვენტარით და ეკიპირებით ხელშეწყობის პროგრამა, რომელსაც თბილისის ყველა ფედერაციას და კლუბს შეძლების ფარგლებში თანაბრად ვუნაწილებთ. აღნიშნულის ფარგლებში მუშაობა გაგრძელდება, რადგან არსებული ეკიპირება ცვეთას ექვემდებარება და მუდმივად საჭიროებს განახლებას. მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს მის ბალანსზე არსებულ ა(ა)იპ წყალბურთის გუნდ „თბილისი"-ს, რომელსაც მნიშვნელოვანი სპორტული მიღწევები აქვს. ყველა ა(ა)იპ-თან მიმართებაში სადაც შემოსავლების ნაკლებობა იყო, პანდემიის პერიოდში ჩვენს მიერ ხელფასები სრულად გაიცემოდა თანამშრომლებზე, მათ შორის იმ მწვრთნელებზე, რომლებიც ძირითადად მოსწავლეთა გადასახადების შედეგად იღებდნენ ხელფასს, შემუშავდა საშუალო

თვიური მაჩვენებელი და უწყვეტად ხდებოდა მათი დაფინანსება. ა(ა)იპ "ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" მუხიანის რაგბის კომპლექსის რაგბის კლუბი "ხვამლისთვის" სადაზღვევო მომსახურების საკითხი მოგვარდა ჯანმრთელობის ნაწილში, რაც კლუბისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ერთი ნაბიჯი გვაკლია ეროვნულ ლიგაში თამაშისთვის, კლუბის ყოფილის აღსაზრდელების ნაწილი უკვე ირიცხება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში და ევროპის წამყვან კლუბებში თამაშობს. კლუბის ბაზას მეზობელი ქვეყნებიც იყენებენ საწვრთნელი შეკრებების ჩატარებისთვის. უაღრესად მნიშვნელოვანია მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა, სადაც 350 მწვრთნელ - მასწავლებელია ჩართული, რომლებიც სპორტის 49 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს და მინიმუმ 2-2 უფასო ჯგუფი ჰყავთ, ისეთი ბენეფიციარებით ვისაც არ აქვს ფასიან ჯგუფებში სიარულის საშუალება. მოხდა მწვრთნელთა გადამზადება მეთოდოლოგიის კუთხით და ბავშვთა ფსიქოლოგიის მიმართულებით, მომართვის საფუძველზე ასევე დავაფინანსეთ რამდენიმე მწვრთნელის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კერძო კურსები. წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისების ქვეპროგრამის ფარგლებში სპორტის 30 სახეობაში დაფინანსდებიან 18 წლამდე ასაკის წარმატებული თბილისელი სპორტსმენი ბავშვები, ამ მიმართულებითაც გვაქვს ფინანსების გარკვეული მატება. 2021 წელს დაიწყო და 2022 წლის დასაწყისში დასრულდება ა(ა)იპ "ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედის" მზიურის პარკის მიმდებარედ არსებული ფეხბურთის მოედნის სამშენებლო სამუშაოები, აღნიშნული მოედანი წლების წინ პროექტის გარეშე იყო გაკეთებული, ახლა კი მოხდება მისი სრული განახლება, მოეწყობა ხის კონსტრუქციებით გასახდელები და სხვა ინფრასტრუქტურა, რაც ადაპტირებული იქნება არსებულ გარემოსთან. რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ ვფიქრობთ გახსნითი ტურნირის მოწყობას. აქტიურად მიმდინარეობს ,,მასტერ ლიგის" პროექტი, რომელიც სისტემატიურად ფართოვდება და უკვე ქალთა მიმართულებასაც მოიცავს. შეძენილია მინი მოედნის პროექტი ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის ზემო პლატოზე, ბერიაშვილის ქ. N6-ის მიმდებარედ და მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე. მოგეხსენებათ, რომ მიმდინარეობს ვარკეთილის მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები. პროექტი დასრულდება 2022 წლის ბოლოს, რადგან შეიცვალა კონტრაქტორი კომპანია. რაც შეეხება დიდ დიღომს, მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოებიც დასრულდება 2022 წელს, რის შემდეგ განხორციელდება კომპლექსის აღჭურვა. ორივე ცენტრის სამშენებლო პროცესის ხარისხის მონიტორინგში ჩართულია მუნიციპალური ლაბორატორია და არ ხდება ეტაპობრივი ჩაბარება, თუ ხარისხი არაა შესაბამისი. მთაწმინდის რაიონში ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოების შეფერხება გამოიწვია შენობის სარეაბილიტაციო პროცესში აღმოჩენილმა დაზიანებამ, კედლები გაშიშვლების შემდეგ ლითონის მდგომარეობა დაზიანებულია, შენობა რეაბილიტაციას არ ექვემდებარება და მოხდება მისი სრული დემონტაჟი, სამშენებლო სამუშაოები 2022 წელს დაიწყება. ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე 2021 წელს სამსახურის მიერ შეძენილ იქნა დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია, სამშენებლო სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2022 წელს. სასიხარულოა, რომ ა(ა)იპ „პარასპორტის განვითარების სპორტული ცენტრის" სპონსორობის და მხარდაჭერის სურვილი არაერთმა კერძო ორგანიზაციამ გამოთქვა და აქტიურად თანამშრომლობს ცენტრთან.

განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით შემდეგი წლისთვის პროგრამები ბიუჯეტით ასე გამოიყურება: ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების მხარდაჭერა - 142,2 ათასი ლარი; პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა - 200,0 ათასი ლარი;

სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა - 2 603,0 ათასი ლარი; უწყვეტი განათლებისა და სტუდენტური პროექტების მხარდაჭერა - 220,0 ათასი ლარი; არაფორმალური განათლების მხარდაჭერა (მოსწავლე/ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე) – 2 963,3 ათასი ლარი; ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა - 1 963,0 ათასი ლარი; თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება - 789,9 ათასი ლარი. სწავლის დაფინანსების ნაწილში იცით, რომ მუნიციპალიტეტი თბილისში ჩაწერილ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს აფინანსებს, წესი შეიცვალა და მოხდა მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა 150,0 ათას ქულამდე, გადასახადი მიზმულია აკადემიურ მოსწრებაზე, რაც შეეხება მაგისტრების სასტიპენდიო პროგრამას დაფინანსება ხდება 91-ქულიდან სტუდენტებზე, რომლებსაც შეუძლიათ ჩარიცხული სტიპენდია, ან სწავლის საფასურს მოახმარონ, ან თავად მოიხმარონ. 2021 წელს შეღავათების მხრივ დაემატა შშმ სტატუსის მქონე სტუდენტების და მრავალშვილიანი ოჯახების წევრი სტუდენტების ჩამონათვალი. პროფესიული განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ელექტრონული პლათფორმა ,,www.dasakmdi.ge" სადაც შესაძლებელია რეგისტრაცია და სასურველი პროფესიის არჩევა. კურსდამთავრებულთა 75%-ზე მეტი საქმდება ავტომატურად. პროგრამის გაზრდა იგეგმება მოთხოვნის ზრდასთან ერთად. ევროპული მიდგომით ვფიქრობთ რამდენიმე საინტერესო პროფესიის დამატებას, მოთხოვნა საკმაოდ დიდია და აღემატება არსებულ კვოტებს. ყველა პროგრამა უფასოა. მოგეხსენებათ, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულის სასახლის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს თბილისის განვითარების ფონდის მიერ. 2021 წელს დასრულდა პირველი ეტაპი, სრული რეაბილიტაცია კი 2023 წელს. რეაბილიტაციის შემდეგ სასახლის მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდება და განახლდება ბევრი საინტერესო პროგრამა. თბილისის ახალგაზრდული სახლები მნიშვნელოვანია ქალაქისთვის, მაგრამ მათი ინფრასტრუქტურული მდგომარეობა არ იძლევა თანამედროვე სტანდარტების დანერგვის საშუალებას. მიმდინარეობს რეაბილიტაციის პროცესი, ხდება სივრცის თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად მოწყობა. 2021 წელს მომზადდა 2 ფილიალის სრული რეაბილიტაციის პროექტები, 2022 წელს დაგეგმილი გვაქვს სამგორის და ჩუღურეთის სრული რეაბილიტაციის დაწყება რომელიც 2023 წელს დასრულდება, ასევე გადმოგვეცა შენობა ვაზისუბანში და ვფიქრობთ მის მოწყობას, რადგან რაიონში ასეთი სივრცის დეფიციტია. ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებას აქვს არაერთი საინტერესო პროექტი, მათ შორის ვმუშაობთ ,,ევროპის ახალგაზრდული ბარათის" პროგრამაზე, ევროპის ახალგაზრდული ქსელის ფორმატში. სამუშაოების შემდეგ ჩვენს ახალგაზრდებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ შესაბამისი ფასდაკლებებით თბილისში და ევროპის ქვეყნებში ტრანსპორტის, შოპინგის, კვების და სხვა მიმართულებით. 2022 წელს ,,Eurodesk Tbilisi"-ს ოფისი გაიხსნება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს თბილისში მოქმედ საგანმანათლებლო და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, მათ შორის მუნიციპალურ ორგანიზაციებს ჩამოაყალიბონ თანამშრომლობა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, შესაბამისი პროფილის ორგანიზაციებთან, ასევე ინიცირება გაუწიონ ერთობლივ პროგრამებს და ღონისძიებებს, ქართველ ახალგაზრდებს და სტუდენტებს დაეხმარება ჩაერთონ ევროკავშირის მასშტაბით სასწავლო მობილობის, სტაჟირების და არაფორმალური განათლების პროგრამებში. 2022 წელს ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებასთან ერთად გვინდა ყველა საერთაშორისო პროექტის შესახებ გავაკეთოთ თემატური პრეზენტაცია და კიდევ უფრო კარგად გავაცნოთ დაინტერესებულ პირებს მათ შესახებ. ახალგაზრდული პოლიტიკის ნაწილში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის გათვალისწინებით შემუშავდა ,,ახალგაზრდების ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა", რომელიც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კომპლექსური მუნიციპალური სერვისის დანერგვას უწყობს ხელს ახალგაზრდებში ნარკოტიკების მოხმარებით

გამოწვეული დარღვევების მკურნალობის, ადიქციის პრევენციის, ფსიქიკური ჯანმრთელობის და სოციალური ფუნქციონირების მიმართულებით, პროგრამის ფარგლებში მოხდება ფიზიკური რეაბილიტაციის კურსი, რის შემდგომაც რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით, მიეცემათ პროფესიული განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობა. 2022 წელს პროგრამა იქნება საპილოტე და შემდეგი წლებიდან გაფართოვდება. ,,ჯანსაღი ქალაქების" პროგრამის ფარგლებში ამ პროექტით წარვდგებით და ვიმედოვნებთ საერთაშორისო მხარდაჭერას, გაზაფხულზე ვაპირებთ პროექტის ფარგლებში სამუშაო შეხვედრების გამართვას, რა დროსაც კიდევ მოხდება თემატური კორექტირებები საკრებულოს წევრების და დარგის ექსპერტების ჩართულობით. საქალაქო სამსახურის მიერ შემუშავდა ,,ახალგაზრდების სამეწარმეო პროექტების მხარდაჭერის საგრანტო პროგრამა", რომელიც ითვალისწინებს ახალგაზრდების მიერ დაფუძნებული სტარტაპ სოციალური საწარმოების ფინანსურ მხარდაჭერას. ბიზნეს მოდელზე დაფუძნებული პროექტების განხორციელებას, რომელსაც აქვთ ერთის მხრივ სოციალური მიზანი, მეორეს მხრივ ემსახურება შემოსავლის მიღებას და ახალგაზრდების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას. ჩვენი მიზანია, პროექტების ხელშეწყობის შემდეგ მათ განაგრძონ დამოუკიდებელი არსებობა და დაასაქმონ თემატური ჯგუფები.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს საინტერესო პრეზენტაციისთვის. ბევრი კარგი პროექტის განხორციელება იგეგმება და გამოვთქვამთ მზაობას სამუშაო პროცესში აქტიურად მონაწილეობისთვის. რაც შეეხება 2022 წლის ბიუჯეტს, მოხარული ვარ იმით, რომ მოხდა ჩვენს მიერ ასახული შენიშვნების გათვალისწინება განსაკუთრებით მწვრთნელთა მხარდაჭერის მიმართულებით.

ავთანდილ ცინცაძე - საბურთალოს რაიონისთვის, დიდ დიღომში მულტიფუნქციური ცენტრის აშენება უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა დეფიციტშია. სხვა ლოკაციაზე ახალგაზრდების გადაადგილება, კი საკმაოდ რთულია, თუნდაც აუზზე. ეს პროექტი სპორტში ჩართულობის მასიურობის გაზრდის კუთხით იქნება ფუნდამენტური მთელი დიდი დიღმისთვის. ასევე ცენტრის მიმდებარედ დედაქალაქს მალე შეემატება ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწყებული სპორტული ბაზა, სადაც ახალგაზრდები უსასყიდლოდ ივარჯიშებენ.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში და 2022 წელს დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაცია.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ წარუდგინა.

გიორგი ჩაკვეტაძე - მოგესალმებით, 2017 წლიდან კომისია მუნიციპალიტეტის ყველა მიმართულებას უწევს მონიტორინგს და ზედამხედველობას, რაც სპორტისა და ახალგაზრდულ მიმართულებებთან არის კვეთაში. ჩვენი ფუნქციებია - სამართლებრივი აქტების მომზადება, მერიისგან შემოსული პროექტების შესწავლა და შესაბამისი მსვლელობის მიცემა, დასკვნების

მომზადება და საკრებულოს სხდომაზე გატანა. რაც შეეხება ფიზიკურ აღზრდას, სპორტს და ახალგაზრდობას, ყველა მიმართულებით ვმუშაობთ, მათ შორის მუნიციპალური ბიუჯეტის კუთხით. კომისიის სამდივნოს ფუნქციაში შედის კომისიის სხდომის ორგანიზება, შესაბამისი სამართლებრივი დასკვნის და სხდომის ოქმის მომზადება. კომისიურად მშენებარე სპორტული ობიექტების მონიტორინგს ვახორციელებთ უშუალოდ ადგილზე გასვლით და შესაბამისი სატენდერო, თუ სხვა დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე. გვაქვს მჭიდრო კომუნიკაცია ყველა დარგობრივ უწყებასთან, როგორც სპორტულ ფედერაციებთან, ასევე ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან და რაიონულ გამგეობებთან. კოვიდ პანდემიამდე გვქონდა აქტიური შეხვედრები სამუშაო ფორმატში, ვიყენებთ ონლაინ პლათფორმასაც, აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანია ოლიმპიური კომიტეტის, კულტურის და სპორტის სამინისტროს, პარლამენტის სპორტის კომიტეტის და ეროვნული ფედერაციების ჩართულობა. საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან ერთად გვქონდა ერთობლივი სამუშაო ფორმატი, რაიონებში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვა ლოკალური საჭიროების მიმართულებით, მაჟორიტარების მიერ მოწოდებული საჭიროებებიდან გამომდინარე მოვახდინეთ აღნიშნული წერილობითი მიმართვების გაგზავნა სამინისტროებთან და მერიაში, ამ ფორმატს შევინარჩუნებთ სამომავლოდ. კვარტალურად ვუსმენთ საქალაქო სამსახურს და რაიონული გამგეობების შესაბამის განყოფილებებს. ვიღებთ მოქალაქეებს, მათ წერილობით, თუ სატელეფონო სახის კონსულტაციას და შესაბამის შუამდგომლობებს ვუწევთ. კომისია აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო პლათფორმაში, ჩვენი წევრები და მეც აქტიურად ვიღებთ აღნიშნული მიმართულებით მონაწილეობას. 2018 წელს გვქონდა სამუშაო ვიზიტი ესპანეთში, საიდანაც გადმოვიღეთ სპორტული მულტიფუნქციური ცენტრების მოდელი და დავნერგეთ თანამედროვე მიდგომები. კომისია აქტიურადაა ჩართული კალენდარული ღონისძიებების ჩატარების კუთხით, ასევე ვუწევდით ორგანიზებას საქველმოქმედო აქციებს, დავაინიცირეთ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი", რომლის ფარგლებშიც 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალგაზრდა წევრია გაერთიანებული და საერთო ძალისხმევით ვიღებთ თემატურ გადაწყვეტილებებს და ორგანიზებას ვუკეთებთ სხვადასხვა პროექტებს, ხდება გამოცდილების გაზიარება, ფორმატი სამომავლოდაც გაგრძელდება. გვაქვს კამპანია - ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს", რომლის ფარგლებში არაერთი აქტივობა და პროექტი ხორციელდება. რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულია დაძმობილებულ ქალაქებთან კომუნიკაცია, ასევე სტაჟირების პროგრამა კომისიაში. 2021 წელს ჩავატარეთ 15 სხდომა, განვიხილეთ 51 საკითხი, მომზადდა 17 დასკვნა და 15 კომისიის სხდომის ოქმი. ჩვენს მიერ ხდება ისეთი საკითხების შესწავლა, სადაც თემატურად წამყვანი კომისია სხვაა, მაგრამ სპორტული, ან ახალგაზრდული ნიუანსების შემცველია, მაგალითად ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემა ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით, როგორიც იყო გლდანში და ნუცუბიძის პლატოზე ფეხბურთის ფედერაციისთვის ქონების გადაცემის საკითხი შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის. 2021 წლის ბიუჯეტი სპორტის და ახალგაზრდობის ნაწილში წარმოდგენილი იყო 28 500,0 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში ვეწვიეთ ა(ა)იპ გლდანი-ნაძალადევის სპორტულ ცენტრს და საწყალოსნო ცენტრ ,,ტონუსს" რომელიც სამომავლოდ უნდა დაუბრუნდეს ტექნიკურ უნივერსიტეტს. კომისიის მიერ მომზადდა თემატური მოკვლევა, თუ რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს მინი სპორტული მოედნების მოწყობა, რა დროზე უნდა იყოს გათვლილი მისი ექსპლუატაცია და სხვა არაერთი ნიუანსი, რომელიც ვფიქრობთ თანამედროვე სტანდარტების მინიმალური სატენდერო პირობებით უნდა იქნეს მიღებული, როგორც საკრებულოს დადგენილება. ჩვენი ინიციირებით განხორციელდა ,,თბილისის სასკოლო ლიგა" და ვფიქრობ

სპორტული ლიგების ხელშეწყობას, გვაქვს წარმატებული სპორტსმენების საკრებულოში მასპინძლობის პრაქტიკა, ასევე სკოლებში გვქონდა პროექტი ,,როდესაც სპორტი ცვლის სამყაროს" და ცნობილ სპორტსმენებთან ერთად სხვადასხვა რაიონის სკოლას ვსტუმრობდით ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით. ეს და კიდევ არაერთი მიმართულება კვლავ გაგრძელდება უფრო აქტიურად უკვე 2022 წლიდან. რაც შეეხება 2022 წლის ბიუჯეტს წარმოდგენილია 1 305 418,2 ათასი ლარით, ჩვენი მიმართულებით გვაქვს შემდეგი პროგრამები: სპორტის განვითარების ხელშეწყობა (08 06) - 25 616,0 ათასი ლარი; სპორტული ღონისძიებები (08 06 01) - 5 892,6 ათასი ლარი; მწვრთნელთა მხარდაჭერა (08 06 02) - 2 625,0 ათასი ლარი; სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (08 06 03) – 200,0 ათასი ლარი; სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (08 06 04) - 14 928,0 ათასი ლარი; წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (08 06 05) – 429,0 ათასი ლარი; პარასპორტის განვითარება (08 06 06) - 1 541,4 ათასი ლარი; ახალგაზრდული ღონისძიებები (08 08) - 2 752,9 ათასი ლარი; ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (08 08 01) - 1 963,0 ათასი ლარი; თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება (08 08 02) - 789,9 ათასი ლარი. ჯამში სპორტის განვითარების ხელშეწყობა და ახალგაზრდული ღონისძიებები 2022 წლის ბიუჯეტში წარმოდგენილია 28 368,9 ათასი ლარით; კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში (08 11) - 1 100,0 ათას ლარი, ყველა რაიონში მატებაა 10,0 ათასი ლარით; უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (06 02 06 01) - 627 500 ათას ლარი; უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (06 02 06 03) - 688 500 ათას ლარი. საქალაქო სამსახურთან ერთად უახლოეს პერიოდში კარგი იქნება გასვლითი სხდომის ორგანიზება მშენებარე სპორტული ინფრასტრუქტურის მონახულების მიზნით.

აზრი გამოთქვეს:

ავთანდილ ცინცაძე - გრძელვადიან პერსპექტივაში ხარისხიანად გაკეთებული მოედანი ძალიან მნიშვნელოვანია, როცა ფედერაცია აკეთებს ევრო სტანდარტების დონის მოედნებს ჩვენც გარკვეული მინიმალური სტანდარტი უნდა შევქმნათ. ქალაქში არსებული მოედნების უმრავლესობას სტანდარტების შესაბამისი რეაბილიტაცია ესაჭიროება, ახალი მოედნების მოსაწყობად კი სივრცე ძალიან მცირდება დედაქალაქში.

აკაკი ალადაშვილი - სპორტის მასობრიობის გაზრდის კუთხით საუბნო ტიპის მოედნები და სხვა სპორტული ინფრასტრუქტურა უაღრესად მნიშვნელოვანია. ფეხბურთის ფედერაციას ყავს შესაბამისი მიმართულების კარგი სპეციალისტები და სამუშაო ფორმატში მათი ჩართულობაც შესაძლებელია.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გ. ჩაკვეტაძე გიორგი ჩაკვეტაძე